მეხსიერების რეპრეზენტაციის ხერხები ეკატერინე ტოგონიძისა და მარიამ გურგენიშვილის რომანებში

ანა ჭრელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე

ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჭრელაშვილი

14.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ქართველი მწერლების, ეკატერინე ტოგონიძისა და მარიამ გურგენიშვილის რომანები - „შინ-შენ“ და „მარგალიტები“. კვლევა დაფუძნებულია შესაძლო სამყაროთა თეორიასა და ლიტერატურის, როგორც კულტურული მეხსიერების, კონცეპტზე.

წინამდებარე კვლევის მიზანია საკვლევ ობიექტებში წარმოაჩინოს მეხსიერების რეპრეზენტაციის ხერხები, როგორ აისახება ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება იდენტობის ფორმირებაზე. რამდენად კავშირშია ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება ერთმანეთთან და განაპირობებს თუ არა იდენტობის ფორმირებას;

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეკატერინე ტოგონიძისა და მარიამ გურგენიშვილის ტექსტებში ასახულია ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესი, აღნიშნულია, როდის და რას იხსენებენ ინდივიდები. გახსენების მიზეზები პრობლემის ახსნისა და გადაჭრის გზების ძიების, თვითაღქმის უნარის შეძენის, მომავლის ხატთან კავშირის შენარჩუნების მცდელობებთანაა დაკავშირებული. რისთვისაც იქმნება ალტერნატიული სამყაროები, რომლებშიც პერსონაჟები რეალობისგან გაქცევის შესაძლებლობას ეძებენ ან კოლექტიური იდენტობის ნაწილად ქცევას ახერხებენ. აღმოჩნდა, რომ საანალიზო ტექსტებში როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური მეხსიერება ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა; ნარატივი; მეხსიერება; ინდივიდუალური მეხსიერება; კოლექტიური მეხსიერება; იდენტობა; შესაძლო სამყარო; ალტერნატიული სამყარო; აქტუალური სამყარო.

Abstract

The research analyzes the novels "Home-You" by Ekaterine Togonidze and "Pearls" by Mariam Gurgenishvili, written by modern Georgian writers. The study is based on the possible worlds theory and literature as a study of cultural memory.

This analysis aims to investigate how memory processes are portrayed, represented, and managed within the texts. Additionally, it seeks to explore the interrelation between individual and collective memory, and their potential influence on identity formation.

The study has revealed that the texts reflect the formation of individual and collective memory, and it is clear when and what individuals remember. The reasons for remembrance are related to the search for ways to solve the problem, to acquire skills, to maintain the ability, to maintain the image of the future. For which alternative worlds are created, characters seek to escape from reality, or as well as from themselves, if they are part of a collective identity, It turned out that the participation of both individual and collective memory plays one of the leading roles in the formation of identity.

Keywords: Literature; Narrative; Memory; Individual Memory; Collective Memory; Identity; Possible World; Alternative World; Actual World